

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

30/06/2017 წელი

ქ. ბათუმი

16⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჭავანაძე და ზურაბ გოლიაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **დადგენილება** - უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

2. **დადგენილება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

3. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

4. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

5. **განკარგულება** - ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ;

6. **სხვადასხვა.**

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

5. განკარგულება

ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ;

1. დადგენილება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

მოსმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალალონიამ კომისიის წევრებს გააცნო „უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

სხდომაზე კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად ჩამოყალიბდნენ თუ, რომელი სტრუქტურული ერთეულის თანამდებობები დაექვემდებარება სავალადებულო სერტიფიცირებას და რომელი არა.

(იხ: დანართი)

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“ დადგენილების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დანართის შესაბამისად განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოხელეთა ჩამონათვალი, რომლებსაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იმ სამსახურებისა და საშტატო ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი“.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

(თან ერთვის)

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოსმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 29 მაისის №04/2004 დადგენილება „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის/არჩევის ბოლო ვადის განსაზღვრის თაობაზე“ (გაზეთი „აჭარა“ №101. 2004 წელი);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობის დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №91. 2006 წელი);

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №9 დადგენილება „საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №102. 2008 წელი);

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 14 სექტემბრის №11 დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №103. 2008 წელი);

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 23 სექტემბრის №12 დადგენილება „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №107. 2008 წელი);

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 7 ოქტომბრის №13 დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №113. 2008 წელი);

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის №17 დადგენილება „უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების უფლებამოსილების განსაზღვრისა და დანიშვნის წესის შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №122. 2008 წელი);

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 29 ოქტომბრის №18 დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ“ (გაზეთი „აჭარა“ №122. 2008 წელი);

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №4 დადგენილება „უმაღლესი საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესების აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 8/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016005);

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №5 დადგენილება საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დამკვირვებელთა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით უსკოში რეგისტრაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 8/08/2012 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016006);

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №7 დადგენილება „ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/07/2016 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010220020.34.059.016027);

12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის 17 მაისის №1 დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, 18/05/2017 წელი,
სარეგისტრაციო კოდი: 010320040.34.059.016038).

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის : ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №4 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიის განაწილების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის №3 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 1 ივლისიდან.

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:


სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:



მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის 17 მაისის №1 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

(თან ერთვის)

5. განკარგულება

ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკოს აპარატის

სამსახურების სახელის შეცვლით აუცილებელი გახდა უსკოს აპარატის საოქმო სარეგისტრაციო სამსახურის შტამპის და ბეჭდის შეცვლა, სადაც ნაცვლად საერთო სამსახურისა უნდა ჩაიწეროს საოქმო სარეგისტრაციო სამსახური. ასევე კომისიას შესთავაზა წარმოდგენილ ნიმუშში - „შტამპი“ ასახული იქნას უსკოს ლოგო.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ბეჭდისა და შტამპის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საოქმო სარეგისტრაციო სამსახურის შტამპისა და ბეჭდის ფორმა თანდართული ნიმუშების შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე